

პ ე ტ ი ც ი ა

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი;
2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლი (პეტიცია);
3. საკრებულოს თავმჯდომარის წერილი გამგეობაში პეტიციის გადმოგზავნის შესახებ;
4. პეტიცია;
5. კრების ოქმი;
6. პრობლემების გადაჭრის პროექტები

შე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2015 წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებების შემდეგ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს. მათ შორის, გამორჩეული ადგილი უკავია პეტიციას, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ქმედით მექანიზმს წარმოადგენს.

პეტიცია ლათინური სიტყვაა („petitio“), რაც ნიშნავს კოლექტიურ თხოვნას, კოლექტიურ შუამდგომლობას.

ზოგადად, პეტიცია უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, მისი ფესვები კი კონსტიტუციით აღიარებულ იმ ძირითად პოსტულატშია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი.

პეტიციის ინსტიტუტი, როგორც სახალხო სუვერენიტეტის გამოვლინების ფორმა, ყველაზე ფართოდ გამოიყენება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში, ვინაიდან სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ არსებით საფუძველს და აუცილებელ პირობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად, პეტიცია არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა. 2015 წლის 22 ივლისს კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, რომელიც 4 აგვისტოდან ამოქმედდა, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და მნიშვნელოვნად შეიცვალა პეტიციის შინაარსი, მისი წარდგენისა და განხილვის წესები.

პეტიციის თვითმმართველობაში წარდგენის და გადაწყვეტილების მიღების წესი რეგულირებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
86-ე მუხლი:

მუხლი 86. პეტიცია

1. პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

- ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;
- ბ) საერთო კრებას.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.

3. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.

4. პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:

ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები

გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

5. პეტიცია უნდა შეიცავდეს:

ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს;

ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) პეტიციის წარდგენის თარიღს;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას;

ე) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს;

ვ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.

6. შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს,

დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

7. პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. იგი უზრუნველყოფს პეტიციის ამ კანონის 851 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებას.

8. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა/ეძლევათ მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას.

9. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს უფლება აქვს/აქვთ, რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს/გაასაჩივრონ სასამართლოში.

10. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

11. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი

რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

12. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესით მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე;

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

13. ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი დადგენილების პროექტს განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

15. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად

წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში.

16. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის ინფორმაციას ცნობად იღებს ან არ ეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის

ან სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს სხვა, შესაბამის გადაწყვეტილებას.

17. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

18. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განიხილოს შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში.

ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

19. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში ამ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები.

20. ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის

განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

21. პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, გარდა ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

22. თუ პეტიცია საერთო კრების მიერ არის წარდგენილი, პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაბამისმა მოსამსახურებმა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ უშუალოდ – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ან/და უნდა წარუდგინონ საერთო კრების რჩეულს – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

23. პეტიციის რეგისტრაციასთან, ხელმოწერების შემოწმებასთან და პეტიციის განხილვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები ამ მუხლის შესაბამისად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

24. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, ამ მუხლის ნორმების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი.



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

COUNCIL OF SIGHNAGHI MUNICIPALITY

№ 82

25 მაისი 2017 წელი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ დავით ჯანიკაშვილს

ბატონო დავით,

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის 19 მაისს შემოსულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის დასახლების საერთო კრების მიერ წარმოდგენილი პეტიცია შემდეგი მოთხოვნებით:

1. სოფლის ტერიტორიაზე 20 ურნის განთავსება (როგორც დასახლებულ პუნქტში, ასევე ყოფილ თვითნებურ ნაგავსაყრელებთან);
2. სოფელ ქვემო მაჩხაანში არსებული სამი თვითნებური ნაგავსაყრელის დასუფთავება;
3. სამომავლო დაბინძურების პრევენცია (საინფორმაციო აბრების განთავსება).


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-11 და მე-18 პუნქტების საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით აღნიშნულ პეტიციას უფლებამოსილების შესაბამისად გიგზავნით განსახილველად. გთხოვთ, განიხილოთ პეტიცია და შედეგების შესახებ აცნობოთ საკრებულოსა და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს 1 თვის ვადაში.

დანართი: 9(ცხრა) ფურცელი

პატივისცემით,

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი ტოკლიკიშვილი



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარეს ბატონ გოჩა ტოკლიკიშვილს

პ ე ტ ი ც ი ა

სოფელ ქვემო მაჩხაანში დასუფთავდეს სამი თვითნებური ნაგავსაყრელი და დაიდგას
ნაგვისურნები.

2017 წლის 14 მაისს, სოფელ ქვემო მაჩხაანში ჩატარდა დასახლების კრება სოფლიდან
ნაგვის გატანასთან დაკავშირებით.

კრებაზე განვიხილეთ სოფელში სამი თვითნებური ნაგავსაყრელის მთლიანად
დასუფთავების და სოფლის ტერიტორიაზე ნაგვის ურნების დადგმის(სულ 20 ცალი)
საკითხი.

კრებას დაესწრო 133 ადგილობრივი მოსახლე. განხილვის შემდგომ, კენჭი ვუყარეთ
საკითხს. დამსწრე მოქალაქეებიდან, ყველა(133) იყო მომხრე და არცერთი წინააღმდეგი,
კენჭისყრის დროს არ დაფიქსირდა თავის შეკავება.

მე,სოფელ ქვემო მაჩხაანის საერთო კრების თავჯდომარე გიორგი ასანიშვილი,მცხოვრები
სოფელ ქვემო მაჩხაანში _____ ტელ _____, (შემდგომში მომხსენებელი)
მოგმართავთ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განიხილოთ სოფელ ქვემო
მაჩხაანში დასახლების კრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და საკრებულოს
გადაწყვეტილება გვაცნობოთ წერილობით.

განცხადებას თან ვურთავთ:

- საერთო კრებაზე მხარდაჭერილ მპროექტს,კონკრეტულად ჩამოყალიბებულ
მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.
- საერთო კრების თავჯდომარის (შემდგომში მომხსენებლის) პირადობის
დამადასტირებელი დოკუმენტის ასლს
- საერთო კრების ოქმის ასლს

სოფელ ქვემო მაჩხაანის საერთო კრება

საერთო კრების ოქმი N 1

საერთო კრების გამართვის ადგილი და თარიღი : ქვემო მაჩხაანის კულტურის სახლი, 14.05.2017წელი

2017წლის 14მაისს სოფელ ქვემო მაჩხაანში გაიმართა საერთო კრება. აღნიშნულ დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა (საერთო კრების წევრთა) საერთო რაოდენობა შეადგენს 609 ამომრჩეველს კრებას ესწრება საერთო კრების წევრთა 21 %

- საერთო კრების თავმჯდომარედ არჩეულია გიორგი ასანიშვილი პ/ნ 40001036611
- საერთო კრების მდივნად არჩეულია დავითი მენთეშაშვილი პ/ნ 40001036046
- დღის წესრიგში დგას

1.სოფლიდან ნაგვის გატანის საკითხი

2.აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის პეტიციის შედგენა და საკრებულოში რეგისტრაცია.

- საკითხის ინიციატორი: (სახელი, გვარი, პირადი N, მისი სტატუსი)
გიორგი ასანიშვილი პ/ნ , კრების თავმჯდომარე.

საკითხის ინიციატორმა საერთო კრებას გააცნო შემდეგი მოსაზრებები:საერთო კრების ინიციატორმა, კრებაზე დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ სოფელ ქვემო მაჩხაანში სამი თვითნებურად შექმნილი ნაგავსაყრელია. მოსახლეობას წარჩენები სწორედ ამ ნაგავსაყრელებზე გააქვს, ეს კი თავის მხრივ განაპირობებს სოფელში ანტისანიტარიას და საფრთხეს უქმნის, როგორც გარემოს, ასევე სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

სოფლისათვის უმნიშვნელოვანესია ამ პრობლემის მოგვარება და შემდგომი პრევენცია. ამისათვის აუცილებელია:

1. არსებული თვითნებური ნაგავსაყრელების დასუფთავება;
2. სოფლის ტერიტორიაზე და ამაჟამად არსებულ ნაგავსაყრელებთან ურნების განთავსება (სულ 20 ურნა);
3. სოფლის ტერიტორიაზე აბრების განთავსება, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებს სოფელში სისუფთავის შენარჩუნებისაკენ.

ამის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მოსახლეობას, გამოითქვა აზრი რომ შეიქმნას მოხალისეების ჯგუფი, სადაც სოფლის მოსახლეობა სურვილის შემთხვევაში გაწევრიანდება და მონაწილეობას მიიღებს სოფლის/ არსებული ნაგავსაყრელების დასუფთავებაში. შედეგად გაიზრდება მოსახლეობის პასუხისმგებლობა და ცნობიერება ნარჩენების სწორად მართვასთან დაკავშირებით.

საერთო კრებაზე წარდგენილი იყო კონკრეტული ხედვა პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროექტი.

- საკითხის შესახებ საერთო კრებაზე გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები:

საერთო კრებაზე დამსწრე საზოგადოებამ დადებითად გაიზიარა წამოჭრილი საკითხი, დაეთანხმა მის მნიშვნელობას და გადაჭრის აუცილებლობას. გამოითქვა სურვილი, რომ საჭიროების შემთხვევაში ჩაერთონ პრობლემის განხორციელების საქმიანობაში.

საერთო კრებაზე დამსწრეები დაინტერესდნენ წარდგენილი პროექტის დაფინანსების წყაროთი. ინიციატორის მხრიდან აღინიშნა, რომ მოსახლეობის მხრიდან საჭირო მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობა, კანონის ძალით უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას.

გარდა ამისა, აღინიშნა რომ სოფელში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცნობიერება. აუცილებელია, რომ სოფლის მაცხოვრებლებმა თავად იზრუნონ სისუფთავეზე და ნარჩენების შემდგომში განთავსებულ ურნებამდე მიტანაზე.

სოფლის მაცხოვრებლები პოზიტიურად შეხვდნენ დასახლების კრების ორგანიზებას და აღნიშნეს, რომ მოხარულები არიან სოფლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ასეთი გზით მსჯელობით.

ისინი იმედოვნებენ, რომ საერთო კრებაზე მოსვლით, აზრის გამოთქმითა და პოზიციის დაფიქსირებით შესაძლებელია ისეთი საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა სოფელში ნარჩენების მართვა.

- საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით:
მომხრე: 133 წევრი;
მოწინააღმდეგე: 0 წევრი;
ხმის მიცემისგან თავი შეიკავა: 0 წევრმა

კრების თავმჯდომარე გიორგი ასანიშვილი: 

კრების მდივანი დავითი მენტეშაშვილი: 

პრიორიტეტული პრობლემის გადაჭრის პროექტი

წინამდებარე პროექტი აღწერს სიღნაღის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულად მიჩნეული პრობლემის გადაჭრის სტრატეგიულ ხედვას.

სოფელ ქვემო მაჩხაანში განხორციელდა ორი ვიზიტი (სულ 4 დღე), რომლის ფარგლებშიც გუნდის წევრები შეხვდნენ სოფლის მაცხოვრებლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს, ჩაატარეს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა, შემდეგ გაანალიზეს შეგროვებული ინფორმაცია და განსაზღვრეს ქვემო მაჩხაანში არსებული პრიორიტეტული პრობლემა.

ამჟამად ქვემო მაჩხაანში განსაკუთრებით პრობლემატურია სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვა, კერძოდ თვითნებური ნაგავსაყრელების მდგომარეობა და ნაგვის ურნების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის, მე-2 ნაწილის ზ ქვეპუნქტის მიხედვით „მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა“ მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

ა) პრობლემის მოკლე მიმოხილვა

სოფელ ქვემო მაჩხაანში სამი თვითნებურად შექმნილი ნაგავსაყრელია. მოსახლეობას ნარჩენები სწორედ ამ ნაგავსაყრელებზე გააქვს, ეს კი თავის მხრივ განაპირობებს სოფელში ანტისანიტარიას და საფრთხეს უქმნის, როგორც გარემოს, ასევე სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

პრობლემის პრიორიტეტულობა აჩვენა სოფელში ჩატარებულმა კვლევებმა. შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 60%-ზე მეტს მიაჩნია, რომ ნაგავსაყრელი ცუდ მდგომარეობაშია, ხოლო 14%-მა აღნიშნა, რომ ნაგავსაყრელი თვითნებურადაა წარმოქმნილი ან ნაწილობრივ კარგ მდგომარეობაშია. გამოკითხულთა ნაწილმა მიუთითა, რომ თვითნებური ნაგავსაყრელი უნდა გაუქმდეს.

თვითნებური ნაგავსაყრელები ხევების პირას მდებარეობს, იმ ადგილებში, რომლის ქვემოთაც წყაროები გამოდის. ამჟამად მთელი სრული სასმელად სწორედ ამ წყლებს იყენებს. შესაბამისად, ნაგავსაყრელებზე არსებული ანტისანიტარული მდგომარეობა აბინძურებს სასმელ წყალს და საფრთხეს უქმნის სოფლის მაცხოვრებლების ჯანმრთელობას.

სოფლის ტერიტორიაზე საველე სამუშაოებმა აჩვენა, რომ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი აქტიურად იყენებს თვითნებურ ნაგავსაყრელებს საძოვრად.

მეორე მხრივ, თვითნებური ნაგავსაყრელები საფრთხეს უქმნის გარემოს. ნარჩენების ნაწილი ლპება და ატმოსფეროში სხვადასხვა მავნე აირებს გამოჰყოფს. არსებობს უაღრესად მდგრადი

ნარჩენები, რომლებიც ნაგავსაყრელში ძალზედ ნელა, ათწლეულების მანძილზე იხრწნება და მთელი ამ პერიოდის მანძილზე ჰაერს და წყლებს აბინძურებს.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ სოფლის მოსახლეობა სიმწვავით ასევე აღიქვამს სოფელში ნაგვის ურნების უქონლობას. წინამდებარე პროექტზე მუშაობის პროცესში გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაისის ბოლოსათვის განხორცილდეს 5 ერთეული ურნის შეძენა, რომლებიც დამზადებული იქნება ფურცლოვანი ფოლადით და განთავსდება ცენტრალური გზის გასწვრივ. ამასთან იგეგმება ნაგვის შემგროვებელი მანქანის სიხშირის ზრდაც - კვირაში ორი დღე: ოთხშაბათი და კვირა. აღსანიშნავია, რომ შესაძენი ურნების რაოდენობა (5 ერთეული) ვერ პასუხობს მოსახლეობის საჭიროებას:

- ურნები განთავსდება მხოლოდ ცენტრალურ გზაზე, სოფლის მაცხოვრებლები კი დასახლებულები ასევე პერიფერიაზე არიან;
- ქვემო მაჩხაანში რეგისტრირებულია 609 მაცხოვრებელი, მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურთან კონსულტაციამ აჩვენა, რომ 5 ოჯახზე კვირაში ორჯერ მანქანის სიარულის შემთხვევაში სასურველია გათვალისწინებულ იქნას 1 ურნა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო მაჩხაანი მიგრაციული სოფელია, ამჟამად სოფელში მაცხოვრებელ ოჯახთა საშუალო რაოდენობა 100-ია, შესაბამისად უშუალოდ დასახლებულ პუნქტში, სულ მცირე უნდა იყოს 20 ურნა;
- თვითნებური ნაგავსაყრელების დასუფთავების შემდგომ, ამ ტერიტორიებზე სამომავლო დაბინძურების პრევენციისთვის და მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად აუცილებელია დამატებითი ურნების განთავსება (სულ 5 ერთეული) რაც ასევე არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის გეგმაში.

ბ) მიზნები

1. სოფლის ტერიტორიაზე 20 ურნის განთავსება (როგორც დასახლებულ პუნქტში, ასევე ყოფილ თვითნებურ ნაგავსაყრელთან);
2. სოფელ ქვემო მაჩხაანში არსებული სამი თვითნებური ნაგავსაყრელის დასუფთავება;
3. სამომავლო დაბინძურების პრევენცია.

გ) ამოცანები

1. იმისთვის, რომ არ მოხდეს ნარჩენების სამომავლო გატანა თვითნებურ ნაგავსაყრელებზე აუცილებელია დამატებით 20 ურნის შესყიდვა/განთავსება. (ამჟამად ურნები არ არის განთავსებული, იგეგმება მაისის ბოლოს 5 ურნის განთავსება მუნიციპალიტეტის მიერ, ანუ ჯამში ჩვენ პროექტთან თანხვედრაში იქნება 25 ურნა);
2. ნაგავსაყრელის დასასუფთავებლად საჭირო აღჭურვილობის მოპოვება;

3. ნაგავსაყრელის დასასუფთავებლად ადამიანური რესურსის მობილიზება;
4. შეგროვებული ნარჩენების უსაფრთხო ადგილას გატანის უზრუნველყოფა;
5. სამომავლო დაბინძურების პრევენციისთვის გამაფრთხილებელი აზრების დამზადება, განთავსება.

დ) განხორციელების გზები

როგორ?

1. ნაგვის ურნების შესყიდვა და ყოველ მეხუთე ოჯახთან განთავსება, ურნები ასევე უნდა განთავსდეს ყოფილ თვითნებურ ნაგავსაყრელებზე.
2. ნაგავსაყრელების დასუფთავებისთვის ადამიანური რესურსის მობილიზებისთვის შეიქმნება მოხალისეების ჯგუფი, სადაც ქვემო მაჩხაანის ნებისმიერ მაცხოვრებელს შეეძლება გაწევრიანება.
3. აღჭურვილობის უზრუნველსაყოფად განხორციელდება შესაბამისი ტექნიკის და აღჭურვილობის დაქირავება, მოძიება და შესყიდვა.
4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კონსულტაციით განისაზღვრა, რომ თვითნებური ნაგავსაყრელიდან ამოღებული ნარჩენების გატანა განხორციელდება წნორის ევროპული სტანდარტების შესაბამის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. აღნიშნული ნაგავსაყრელი განახლდა 3 წლის წინ, მოეწყო შიდა და გარე მისასვლელი გზები, მოხდა ტერიტორიის შემოღობვა და ელექტროფიცირება, დამონტაჟდა ნაგავსაყრელის მაჩვენებელი და ამკრძალავი ნიშნები.
5. ყოფილი თვითნებური ნაგავსაყრელების სამომავლო დაბინძურების პრევენციისა და ამ საკითხზე მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად ამ ტერიტორიებზე განთავსდება საინფორმაციო აზრები. (ინფორმაციით: ნარჩენების თვითნებური გადაყრა საფრთხეს უქმნის თქვენ ჯამრთელობას! გთხოვთ გაუფრთხილდით თქვენ სოფელს!)

ვინ?

პროექტის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საინიციატივო ჯგუფს, სწორედ ის გაუწევს ორგანიზებას პროექტის განხორციელებას, სოფლის მაცხოვრებლებისათვის დაგეგმილი საქმიანობების გაცნობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობას.

პროექტის განხორციელება ძირითადად დამოკიდებულია დაქირავებულ/მოძიებულ ტექნიკაზე, ჩასატარებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

ასევე სამუშაოებში მონაწილეობას მიიღებს სოფლის მოსახლეობა. ისინი სურვილის შემთხვევაში გაწევრიანდებიან მოხალისეების ჯგუფში.

ე) პროექტის განრიგი

პროექტის განსახორციელებლად განისაზღვრა 2 თვე. ეს პერიოდი თავის მხრივ, გაიყო ორ ეტაპად: პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსების ორგანიზება; 2. პროექტის უშუალოდ განხორციელება.

პერიოდი/საქმიანობა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	VI კვირა	VII კვირა	VIII
მოხალისეების ჯგუფის შექმნა/ორგანიზება								
საჭირო ტექნიკა დაქირავება/მოძიება								
საჭირო აღჭურვილობის შეძენა								
საინფორმაციო აბრების დამზადება/განთავსება								
ნაგვის ყუთების შესყიდვა/განთავსება								
დასუფთავება								
მონიტორინგი								

ვ) ფინანსური დასაბუთება

პროექტის განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი მდგომარეობს შემდეგში:

დაფინანსების საგანი	თანხის რაოდენობა	დაფინანსების წყარო
---------------------	------------------	--------------------

დასუფთავება (ტრაქტორის ქირაობა და საწვავი, ნაგვის მანქანის საწვავი, ხელთათმანები, ტომრები.	2000 ლარი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი
საინფორმაციო აზრები	400 ლ (ერთი ერთეული 100 ლარი)	სიღნაღის მუნიციპალიტეტი
ურნების შესყიდვა	$20 \cdot 700 = 14000$ ლ	სიღნაღის მუნიციპალიტეტი
სულ	3800 ლ	

დ) შედეგების ანალიზი და შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პროექტის წარმატებით განხორციელება, უზრუნველყოფს სამომავლო საფრთხის თავიდან აცილებას, სოფლის იერსახის გაუმჯობესებას და მოსახლეობის კმაყოფილების გაზრდას. (როგორც აღინიშნა, რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხულთა 60%-ზე მეტმა დააფიქსირა აზრი, რომ ნაგავსაყრელი ცუდ მდგომარეობაშია).

შედეგის შეფასების ინდიკატორები:

თვისებრივი მაჩვენებლით:

1. შეიქმნა მოხალისეების ჯგუფი;
2. ნარჩენებისაგან სრულად დასუფთავდა სამი თვითნებური ნაგავსაყრელი

რაოდენობრივი მაჩვენებლით:

1. განთავსებულია 20 ურნა
2. ყოფილ ნაგავსაყრელთან გაიკრა 4 საინფორმაციო აზრა.

GEO

სტუდენტი
STUDENT

სახელი / FIRST NAME

გიორგი

GIORGI

გვარი / LAST NAME

ასანუშვილი

ASANISHVILI